

## მე-8 კლასი

### I. ენის სამყარო

#### 1. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ინტერვიუში ..... , რომ დამწერლობასთან დაკავშირებით, ახალი ნივთმტკიცებულებები ვიპოვეთ.

ა. ავლნიშნე; ბ. აღვლნიშნე; გ. ავნიშნე; დ. აღვნიშნე

#### 2. შეარჩიეთ შესაბამისი წევრ-კავშირი:

მოხდა ის, ..... , სამწუხაროდ, მოველოდით.

ა. რაც; ბ. რასაც; გ. რომელიც; დ. რომელსაც

#### 3. განსაზღვრეთ, რა არის წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა:

ახმაურებულ დარბაზში შემოვიდა ლამაზი ქალბატონი, მეგობრის დედა.

ა. ჩართული; ბ. დანართი; გ. განკერძოებული განსაზღვრება; დ. განკერძოებული გარემოება

#### 4. ჩასვით ზმნა შესაბამისი ფორმით:

მე ჩემს დანაშაულს არ ...

ა. ვუარყოფ; ბ. უარყოფ; გ. ვუარყოფ; დ. უარვყოფ

### II. ტექსტის რედაქტირება

#### 5. მოცემული 5 წინადადებიდან რომელ სამ მათგანშია დაშვებული სინტაქსური შეცდომები?

1. მარიამ ორბელიანი პოეტი ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი იყო.
2. მან განათლება ოჯახში მიიღო და შეისწავლა არაერთი ევროპული ენები.
3. მარიამის აქტიური მონაწილეობით 1906 წელს გაიხსნა ქალთა პირველი ქართული სკოლა.
4. მისივე ინიციატივით შეიქმნა ფონდი ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად.
5. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება.

ა. 2, 3, 4; ბ. 3, 4, 5; გ. 1, 3, 4; დ. 1, 2, 5

### III. სიტყვაკაზმული ქართული

#### 6. განმარტეთ სიტყვათა მყარი შეხამება „გული მოუვიდა“:

ა. გახალისდა; ბ. თავი უხერხულად იგრძნო; გ. გაბრაზდა; დ. მოეწონა

#### 7. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

ა. რიტორიკული შემახილი; ბ. რიტორიკული მიმართვა; გ. რიტორიკული შეკითხვა; დ. გაპიროვნება

### IV. ლექსიკა

#### 8. რომელი სიტყვაა ბარბარიზმი?

ა. ბანკი; ბ. ბრილიანტი; გ. ბრასი; დ. ბრიტვა

#### 9. რომელი წყვილი არ არის სინონიმური?

ა. ამინდი - ტაროსი; ბ. მოქანდაკე - სკულპტორი; გ. ტრაბახა - ბაქია; დ. წითური - ქერა

### V. წაკითხულის გააზრება (16 ქულა) საპროგრამო

ყურადღებით წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართველის დედას“ და უპასუხეთ შეკითხვებს:

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,  
არის მშობელი მომავალისა“.

ლეიბნიცი.

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;  
დედის ნანასთან ქვითინი მთისა  
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...  
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,  
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,  
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,  
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.  
მითხარ, — სადღაა მამა-პაპური  
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  
სახელისათვის ამაყი თრთოლა,  
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?  
მას ნუღარ ვსტირით; რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოგიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...  
აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი!  
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —  
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, -  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...  
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,  
და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.  
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

#### 10. რას ახსენებს ავტორი ქართველის (ქართველის) დედას?

ა. უკეთეს დროს, როცა მამული ყვაოდა; ბ. უკეთეს დროს, როცა ერი ერობდა; გ. უკეთეს დროს, როცა დედა შვილს ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა; დ. უკეთეს დროს, როცა ქვეყანამ თავისუფლების ფასი იცოდა.

#### 11. რამ მოუკლა ქართველის დედას სიცოცხლის ძალა?

ა. მონობამ; ბ. ჟამთასვლამ; გ. შვილების უღირსობამ; დ. შვილების უმოქმედობამ

#### 12. რაზე შესტკივა, უპირველეს ყოვლისა, პოეტს გული?

ა. ქვეყნის საერთო ბედ-იღბალზე; ბ. მხედრული სულისკვეთების დაქვეითებაზე; გ. უპასუხო შეკითხვებზე; დ. ერის საერთო აზრის არარსებობაზე

**13. რის სიმბოლოა ქართველის ჩრდილად ქცევა?**

ა. დამოუკიდებლობის დაკარგვისა; ბ. ისტორიული განაჩენის აღსრულებისა; გ. საზოგადო პრობლემის თავიდან არიდებისა; დ. ქართველის დაკნინება-დაუძლურებისა

**14. რისკენ მოუწოდებს ავტორი ქართველის დედას?**

*„მას ნულარ ვსტირით; რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“...*

ა. მომავალზე ფიქრისკენ; ბ. წარსულის გაიდევალისკენ; გ. წარსულის გააზრებისკენ; დ. უნაყოფო სევდისგან გათავისუფლებისკენ.

**15. რას უწოდებს (როგორ ახასიათებს) ავტორი ყველაფრის გამანადგურებელ დროს?**

ა. უწყალოს; ბ. სხვა ვარსკვლავს; გ. მყოობადს; დ. დარდს

**16. ვის უნდა ემსახუროს, ილიას თქმით, მომავალი?**

ა. წინაპრების ხსოვნას; ბ. სხვა ვარსკვლავს გ. ხალხს; დ. მამულიშვილებს

**17. რა როლს, მოვალეობას, აკისრებს პოეტი ქართველის დედას?**

ა. დაივიწყოს ის, რაც დასავიწყებელია; ბ. შვილი ღირსეულად აღზარდოს; გ. დავიწყებული წარსული აღადგინოს; დ. მხოლოდ აწმყოზე იფიქროს